

ბიზნესის განწყობის ინდექსი

2.6

გაიზარდა

ბიზნესის საზაფხულო განწყობა

III კვ 2022

კვლევაში მონაწილე კომპანიები

მსხვილი

მცირე და საშუალო




26



134

კვლევის ძირითადი შედეგები




● ბიზნესის განწყობის ინდექსი
 ● ბიზნესის მოლოდინების ინდექსი
 ● მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი
 ● გასაყიდი ფასების მოლოდინები

- 2022 წლის III კვარტლისთვის ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 2.6 პუნქტით გაიზარდა და 17.7-ს გაუტოლდა. ბიზნესის განწყობის ყველაზე დიდი გაუმჯობესება (+13.8) მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა. BCI-ის დადებითი ცვლილება გაუმჯობესებულმა მიმდინარე მდგომარეობამ განაპირობა.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით 16.2 პუნქტით გაიზარდა და 2022 წლის III კვარტლისთვის 6.7-ს გაუტოლდა. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუმჯობესება მომსახურებისა (+38.7) და მშენებლობის (+30.8) სექტორებში დაფიქსირდა.
- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, 25.6 პუნქტამდე შემცირდა. 2022 წლის III კვარტლისთვის მოლოდინების გაუარესება დაფიქსირდა ყველა სექტორში, გარდა მშენებლობის და მომსახურების სექტორებისა.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი 11.6-ით შემცირდა და 29.8 პუნქტი შეადგინა. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ ბიზნესების წილი, რომელიც მომდევნო სამ თვეში ვარაუდობს მატებას საკუთარ პროდუქტზე, შემცირდა. გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი შემცირდა ყველა სექტორში, გარდა ვაჭრობის სექტორისა.

(*): ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] სკალაზე. ინდექსის სიდიდე გვიჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, კვარტალური ზრდა



სექტორი	კვ III/22	ცვლილება
მრეწველობა	10.3	▼ -5.6
მშენებლობა	4.6	▲ 13.8
ვაჭრობა	27.5	▲ 6.2
მომსახურება	24.3	▲ 11.9
სოფლის მეურნეობა	2.2	▼ -49.9
საფინანსო სექტორი	23.3	▼ -8.4
სხვა	0	▲ 6.7

2022 წლის III კვარტლისთვის, მსხვილი საწარმოებისთვის მთავარ გამოწვევას კვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირე და ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მცირე და საშუალო ბიზნესები კი ძირითად გამოწვევებად მოთხოვნის სიმცირესა და ფინანსებზე დაბალ ხელმისაწვდომობას ასახელებენ.

ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები III კვარტალი, 2022 წელი

